სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ვლადიმერ წითლაურის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	90	100

ლევან ნემსაძე [signature]

თარიღი: 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ვლადიმერ წითლაურის

შეფასება დასაბუთება

1. **პროცედურის შესახებ**:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა ვლადიმერ წითლაური ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 4 სექტემბერს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შეევაფასე - ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-15- მე- 16 პუნქტების შესაბამისად.

ამასთან, საყურადღებო და გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანდიდატი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაშიც მონაწილეობდა, რომლის ფარგლებშიც მასთან გასაუბრება გაიმართა 2024 წლის 3 სექტემბერს და ჩემს მიერ იქნა შეფასებული.

ვინაიდან ზემოაღნიშნული ორი კონკურსის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა 2-3 დღის ინტერვალით და აღნიშნული კანდიდატი ჩემს მიერ პირველი კონკურსის

ფარგლებში უკვე შეფასებულ იქნა, გამომდინარე აქედან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით გამოცხადებულ კონკურსში მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული ორივე კონკურსის კითხვა-პასუხის შედეგები.

2. **ინფორმაცია კანდიდატის შესახებ**:

კანდიდატი - 34 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, დოქტორი (საქართველოს უნივერსიტეტი 2023 წ.)

სპეციალობით მუშაობს 12 წელი და 6 თვე, კერძოდ:

- 2011 წლის ივნისი - 2011 წლის დეკემბერი - სტაჟიორი - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2012 წლის მარტი - 2012 წლის სექტემბერი - სტაჟიორ - გამომძიებელი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო;
- 2013 წლის მაისი - 2014 წლის აგვისტო - გამომძიებელი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველო;
- 2014 წლის აგვისტო - 2015 წლის აპრილი - საგამოძიებო განყოფილების უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველო;
- 2015 წლის აპრილი - 2018 წლის თებერვალი - საგამოძიებო განყოფილების უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველო;
- 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი - ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 2018 წლის თებერვალი - 2019 წლის ივლისი - საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველო;
- 2019 წლის ივლისი - 2023 წლის დეკემბერი - საგამოძიებო სამმართველოს უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი;
- 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი;
- 2023 წლის დეკემბერი - 2023 წლის ივლისი - განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას,

პრინციპულობას, თვითკრიტიკულობას, პასუხისმგებლობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. ამასთან, კანდიდატს ახასიათებენ, როგორც თავაზიან, სამართლიან, კეთილსინდისიერ, დამოუკიდებელ, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე საიმედო პიროვნებას. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტში იძებნება ინფორმაცია მის აკადემიურ და საგამომძიებო საქმიანობასთან დაკავშირებით; კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი, 3054 კვ.მ. 2758 კვ.მ. 33%; 3706 კვ.მ. 33%; 2618 კვ.მ. 33%; და 2925 კვ.მ (50%) სოფელი სამთავისი. ბინა, ქ. თბილისი, წყალტუბოს ქუჩა N24, 68 კმ.მ.; მიწის ნაკვეთი, კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოსტიბე, 2668 კვ.მ. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.
მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 1.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალში კანდიდატმა წარმოაჩინა ძრავალმხრივი თეორიული ცოდნა, მას უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, არის სწრაფი და დამაჯერებელი, მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია;
ვლადიმერ წითლაური სისხლის სამართლის სამართლებრივ საკითხებში სწრაფად ერკვევა, იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, თანმიმდევრულად და გასაგებად აყალიბებს აზრს, გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებისას დასაბუთებულად იყენებს ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას, ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს თავისუფლად შედის დისკუსიაში და არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას.

სამოქალაქო სამართალში ვლადიმერ წითლაურს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების ტექნიკაში.
რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დამვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების მეტად განვითარებაზე.

კანდიდატმა წარმოადგინა სამართლებრივი პუბლიკაციები და ნაშრომები.

- „ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის განსაზღვრისთვის", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2015წ.;
- „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა", კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული N8, 2017წ.;
- „არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4, თბ. 2022წ.;
- ტესტები და კაზუსები საქართველოს სისხლის სამართალში (სისხლის სამართლის კოდექსის პრაქტიკულ - თემატური განხილვა), თბ. 2011წ.;
- არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, 2024წ.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:

- სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021წ.
- სასაზღვრო და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022წ.;
- გამოძიების ჩატარების ტექნიკა ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეებზე - ამერიკის საელჩო, 2023 წ. და სხვა.

იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

- 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი.

ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით 2013 წელს.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

არის დაოჯახებული.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის" მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.

კანდიდატის შესახებ მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად, ირკვევა კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი. შესწავლილ მასალებში კანდიდატის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტი არ ფიქსირდება.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას.
შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.**

,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის'' მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.
კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
რეკომენდატორები კანდიდატს პრინციპულ, შეუვალ, გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.**

,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავებში მონაწილეობა.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, გასაუბრების პროცესში არის თავდაჭერილი და ზრდილობიანი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები კანდიდატს თავაზიან და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. მიმაჩნია, რომ მისი ქცევა იქნება სათანადო და ადეკვატური სამოსამართლო ფუნქციის განხორციელებისას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების ცოდნის მაღალი დონე. აქვს ანალიზის კარგი უნარი. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს როგორც მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. უნდა აღინიშნოს, რომ მის მიმართ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ზოგიერთ შემთხვევაში იყო ხარვეზიანი. თუმცა მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევები და უზუსტობები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული კითხვა-პასუხის და მათი სირთულის გათვალისწინებით გავაკეთე დასკვნა და „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული **„სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -23 ქულით.**

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, ვიხელმძღვანელე მის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციებითა და ნაშრომებით; ასევე დავეყრდენი დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებსა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ **„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -22 ქულით.**

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, ახრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. აქვს სხვისი ახრის მოსმენის უნარი. ამასთან, გავეცანი კანდიდატის პუბლიკაციებსა და ნაშრომებს, დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებს, კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს და მივიჩნიე, რომ იგი, **„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -18 ქულით.**

კანდიდატი შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. უთითებენ, რომ უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მას არ აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, **„პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -13 ქულით.**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხმირადაა ჩართული. მონაწილეობს სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში. ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მას გააჩნია ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისა. შესაბამისად **„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -9 ქულით.**

კანდიდატი ეწევა აკადემიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში, აქვს არაერთი სამართლებრივი პუბლიკაცია და ნაშრომი. ამავე დროს იგი მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში. შესაბამისად, **„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 5 ქულით**.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 90 ქულას.

ხელმოწერა

თარიღი: 16.09.2024